ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 23

ქ.თბილისი 26 ივლისი 2017 წელი"

ერთი მხრივ 'აიიპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილია მისი დირექტორის--ე.ლაგაზიძის--სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. 'სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს მინდობილი პირის სოფიო ფირცხალავას (პ/ნ 01008028640, თანახმად 05,04,2017წლის მინდობილობისა ინდ.#42311498084915,რეგ#170354649 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10 პრიმა მუხლის 3 პუნქტის "ბ"ქვე პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 25 ივლისის 2017წლის # 8788 თანხმობის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებანი

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში -„ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი -შემყიდველს.

1.2.„ხელშეკრულების ღირებულება"- ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. 'დღე". „კვირა","თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. 'შემსყიდველი"-ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი"-პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. 'საქონელი"-ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. კლასიფიკატორი-CPV-09132100-არაეთილირებული ბენზინი,

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. 1010(ათასათი)- ლიტრი ევრო რეგულარი (შემდგომში „საქონელი") შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს_ 1838 ლარი და 20- თეთრი.

3.2. 1 (ერთი) ლირტი ევრო რეგულარის ფასია_1,82 (ერთი ლარი -82 თეთრი) ლარი;

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დ.ღ.გ.-ს აგრეთვე საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ საწვავის ტალონების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

5. საქონლის მირება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს -(---ე.ლაგაზიძე--)

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საწვავის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონური/საბარათე სისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით. საწვავის ტალონების მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ქ.თელავი

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის (როგორც წერილობითი ასვე ზეპირი) მოთხოვნიდან 2 (ორი) დღეში დაამზადოს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემყიდველს (მის მიერ უფლებამოსილ პირს) მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები (10,20 1ნ 50 ლიტრიანი ტალონის ნომინალით). ტალონის გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან უკვე გაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას, ყოველ ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს: მიმწოდებლის ლოგო წარწერით „სოკარი", ტალონის ნომერი, საწვავის სახეობა, საწვავის რაოდენობა.

6.3. შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. ამასთან, შემსყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახლი ტალონების ანდა საწვავის გაცემა.

6.4. ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობის ანდა ჭურჭლის წარმოდგენა. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ანდა ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

6.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

6.6. საწვავის ბარათზე მიწოდება განხორციელდება 2017 წლის ---25 აგვისტოს -ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს მიწოდებული საწვავის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2. უარი თქვას უხარისხო საწვავის მიღებაზე.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7.2.2. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხეშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. გააფრთხილოს შემსყიდველი საწვავის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;

7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს (კონტროლი) ინსპექტირება, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების 8.1. პუნქტით გათვალისწინებულ (კონტროლს) ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვაგადაგაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საწვავის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

9.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0,1% ოდენობით. ასეთი

უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

9.3. იმ შემთხვევაში , თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხმა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისაგან საწვავის ყოველი მიწოდების თაობაზე მოთხოვნის (წერილობითი ან/და ზეპირი) მიღებისას, მხარეები ვალდებულნი არიან მიმწოდებლის მიერ საწვავის მოთხოვნის მიღების დღისათვის არსებული მონაცემების გამოყენებით მოახდინონ ფასების გადაანგარიშება, ამ მუხლით განსაზღვრული წესით და თუკი ადგილი ექნება 10.1 პუნქტში მითითებული ფასების შეცლის საფუძველს, შემდგომში წერილობითი შეთანხმებით გააფორმონ ახალი ფასები. თუ ამ საფუძველს არ ექნება ადგილი, ძალაში დარჩება მხარებს შორის ბოლო შეთანხმებული ფასი, ფასი ძალაში დარჩება გადაანგარიშებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადით, თუკი შემსყიდველი აღნიშნულ ვადაში არ მოახდენს საწვავის შესყიდვას, გადაანგარიშებული ფასები კარგავს ძალას და შემსყიდველი ვალდებული იქნება ხელახლა წარმოუდგინოს მიმწოდებელ საწვავის მოთხოვნის შესახებ განაცხადი.

10.2. ფასის შესაძლო ცვლილების შესახებ მეორე მხარის გაფრთხილება ან რაიმე სახის შეტყობინების გაგზავნა სავალდებულო არ არის.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესები

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში,დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე 2017 წლის 30 სექტემბრამდე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
---აიპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია---------- მისამართი: ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ.#49 ---ს/კ424611352---------- -------დირექტორი---------- ერისტო ლაგაზიძე ----------	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ მის.: ქ.თბილისი, ჩოლოყაშვილის 1 საიდენტიფიკაციო კოდი: 202352514 საბანკო რეკვიზიტები: სს ‘საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000233446600 ტელ.: 249 97 57 სოფიო ფირცხალავა

მიღება ჩაბარება

30.07.2017

შემსყიდველის დასახელება		თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია					
საწვავის სახეობა		სუპერი (ლიტრი)	პრემიუმი (ლიტრი)	ევრო რეგულარი (ლიტრი)	რეგულარი (ლიტრი)	ევრო დიზელი (ლიტრი)	დიზელი L-62 (ლიტრი)
სარისხობრივი მონაცემები (მარკა)		98	95	93.8	92	50	L-62
შერჩევა (მონიშნეთ)							
საწვავის რაოდენობა ლიტრებში					1010		
ტალონის ლიტრობრივი მონაცემები	10				21		
	20				40		
	50						
წინამდებარე აქტით დასტურდება მყიდველზე ტალონების გადაცემა და მიღება							

მომსახურე კომპანიის შესავსები გრაფა

ერთეულის ფასი		1.92	0	0	1.96	0	0
თანხა საწვავის სახეობების მიხედვით		0	0	0		0	0
სულ თანხა							1838.2
ანგარიშსწორების ფორმა (ნაღდი/უნაღდო)						უნაღდო	
სიტყვიერად სულ თანხა							0

მოქმედების ვადები (ტალონის)

საწყისი თარიღი		
დამთავრების თარიღი		უვადო

"გამყიდველი"
შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
საიდენტიფიკაციო კოდი 202 352 514
ა\ა № GE02BG0000000233446600
მისამართი : ქ.თბილისი, სამასი არაგვეველის 24
მიმღები ბანკი : სს"საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური
ბანკის კოდი: 220 101 502
მისამართი : ქ.თბილისი ჭავჭავაძის № 58

"სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის"
ოპერაციული
გიორგი გოგოჭური

"მყიდველი"

ს/კ: 424611352
ქ.ახმეტა

TEL- 599857898
GE